

## შპს „მედი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

|                                                           |    |
|-----------------------------------------------------------|----|
| მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება ..... | 1  |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება .....                  | 2  |
| საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება .....          | 3  |
| ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები .....                   | 5  |
| 1. კორპორატიული ინფორმაცია .....                          | 5  |
| 2. მომზადების საფუძველი .....                             | 5  |
| 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა .....     | 5  |
| 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები ..... | 8  |
| 5. შემოსავალი რეალიზაციიდან .....                         | 9  |
| 6. რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება .....             | 9  |
| 7. კომერციული ხარჯები .....                               | 9  |
| 8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები .....                | 10 |
| 9. ძირითადი საშუალებები .....                             | 11 |
| 10. ფული და ფულის ექვივალენტები .....                     | 12 |
| 11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები .....                      | 12 |
| 12. მარაგები .....                                        | 12 |
| 13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები .....                   | 12 |

შპს „მედი“


მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

| პერიოდი                                         | 2019              | 2020             |
|-------------------------------------------------|-------------------|------------------|
| შემოსავალი რელიზაციიდან                         | 14,662,181        | 9,724,532        |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება           | (2,967,074)       | (2,195,312)      |
| <b>საერთო მოგება</b>                            | <b>11,695,107</b> | <b>7,529,221</b> |
| კომერციული ხარჯები                              | (410,943)         | (160,383)        |
| საერთო და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები          | (6,922,536)       | (5,517,224)      |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                        | <b>4,361,628</b>  | <b>1,851,614</b> |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი                      | 27,824            | 170,655          |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯი                        | (15,007)          | (1,136)          |
| საპროცენტო შემოსავალი                           |                   | 1,619            |
| საპროცენტო ხარჯი                                | (404)             | (394)            |
| მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან          | (28,113)          | (17,087)         |
| <b>მოგება/(ზარალი) გადასახადების გადახდამდე</b> | <b>4,345,928</b>  | <b>2,005,271</b> |
| <b>მოგების გადასახადი</b>                       | <b>(634,188)</b>  | <b>(324,694)</b> |
| <b>წლის სრული მოგება</b>                        | <b>3,711,740</b>  | <b>1,680,577</b> |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 30 სექტემბერს:

  
გიორგი მჭედლიშვილი  
გენერალური დირექტორი


შპს „მედი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

|                                            | 2018             | 2019             | 2020             |
|--------------------------------------------|------------------|------------------|------------------|
| <b>აქტივები</b>                            |                  |                  |                  |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>               |                  |                  |                  |
| ძირითადი საშუალებები                       | 4,284,091        | 4,069,566        | 3,535,487        |
| არამატერიალური აქტივები                    | 17,419           | 46,539           | 37,007           |
| გრძელვადიანი სესხი                         |                  |                  | 251,619          |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში          |                  |                  | -                |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>           | <b>4,301,510</b> | <b>4,116,105</b> | <b>3,824,113</b> |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>                  |                  |                  |                  |
| ფული და ფულის ექვივალენტები                | 381,090          | 175,816          | 244,244          |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                 | 114,023          | 98,819           | 109,155          |
| საგადასახადო აქტივი                        | 51,000           |                  | -                |
| მარაგები                                   | 840,164          | 1,002,832        | 633,908          |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>              | <b>1,386,277</b> | <b>1,277,467</b> | <b>987,307</b>   |
| <b>სულ აქტივები</b>                        | <b>5,687,787</b> | <b>5,393,572</b> | <b>4,811,420</b> |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                   |                  |                  |                  |
| საწესდებო კაპიტალი                         | 74,000           | 74,000           | 74,000           |
| გაუნაწილებელი მოგება                       | 5,033,284        | 4,643,058        | 4,322,944        |
| <b>სულ კაპიტალი</b>                        | <b>5,107,284</b> | <b>4,717,058</b> | <b>4,396,944</b> |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>             |                  |                  |                  |
| სავაჭრო ვალდებულებები და მიღებული ავანსები | 499,132          | 651,652          | 251,263          |
| საგადასახადო ვალდებულებები                 |                  | 24,862           | 1,487            |
| გადასახდელი დივიდენდები                    |                  |                  | 161,727          |
| მოკლევადიანი სესხები                       | 81,371           |                  | -                |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>         | <b>580,503</b>   | <b>676,514</b>   | <b>414,476</b>   |
| <b>სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპ.</b>  | <b>5,687,787</b> | <b>5,393,572</b> | <b>4,811,420</b> |



4-11 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს


შპს „მედი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

| არაუდირებული                    | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება | ჯამი             |
|---------------------------------|-----------------------|-------------------------|------------------|
| <b>ნაშთი 1 იანვარი 2018</b>     | <b>74,000</b>         | <b>3,552,385</b>        | <b>3,626,385</b> |
| მიმდინარე წლის სრული შემოსავალი |                       | 4,021,997               | 4,021,997        |
| დივიდენდის გამოცხადება          |                       | (2,541,098)             | (2,541,098)      |
| <b>ნაშთი 31 დეკემბერი 2018</b>  | <b>74,000</b>         | <b>5,033,284</b>        | <b>5,107,284</b> |
| მიმდინარე წლის სრული შემოსავალი |                       | 3,168,277               | 3,168,277        |
| დივიდენდის გამოცხადება          |                       | (3,558,503)             | (3,558,503)      |
| <b>ნაშთი 31 დეკემბერი 2019</b>  | <b>74,000</b>         | <b>4,643,058</b>        | <b>4,717,058</b> |
| მიმდინარე წლის სრული შემოსავალი |                       | 1,680,577               | 1,680,577        |
| დივიდენდის გამოცხადება          |                       | (2,000,692)             | (2,000,692)      |
| <b>ნაშთი 31 დეკემბერი 2020</b>  | <b>74,000</b>         | <b>4,322,943</b>        | <b>4,396,943</b> |



შპს „მედი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

---

4-11 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს



## 1. კორპორატიული ინფორმაცია

მედი (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. იგი დაარსდა 1999 წლის 12 აგვისტოს და არსებობს როგორც დამოუკიდებელი ერთეული. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 204931949.

**ძირითადი საქმიანობა.** შპს „მედი“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კლინიკაში ესთეტიკური და სხვა სამედიცინო მომსახურება: პლასტიკური ქირურგია, კოსმეტოლოგია, სტომატოლოგია, გინეკოლოგია, პროქტოლოგია, სარეაბილიტაციო ცენტრი (სპა და ფიტნესი). კომპანიაში დასაქმებულია 195 თანამშრომელი.

**იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი.** კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, მ. კოსტავას ქ., №52.

**კომპანიის მეწილეები:** ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის 50-50%-იან წილებს ფ/პ მარინა ვალიტი და ფ/პ გიორგი მჭედლიძე ფლობენ.

## 2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

**შესაბამისობის განცხადება.** აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით. კომპანიის მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. გარკვეული გამოწვევების გარდა, მსს ფასს-ით მოითხოვება 2020 წლის 31 დეკემბერს მოქმედი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების რეტროსპექტიული გამოყენება საწყისი, მსს ფასს-თან შესაბამისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისთვის 2018 წლის 1 იანვრისთვის და ყველა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში, რომელიც წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით.

სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

## 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

**უცხოური ვალუტა.** ლარი არის შპს „მედის“ მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. კომპანია ოპერაციებს უცხოურ ვალუტაში არ ახორციელებს.

**ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.** ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

**საპენსიო შენატანები.** 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

**სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.** სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება გამოხატულია რეალიზაციის თანხით, კომპანიას არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

**ძირითადი საშუალებები**

**აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

- **ცვეთა.** აქტივის წარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ საშუაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადანაწილად გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

| ჯგუფი                                | სასარგებლო მომსახურების ვადა |
|--------------------------------------|------------------------------|
| შენობა ნაგებობები                    | 20 წელი                      |
| ოფისის აღჭურვილობა                   | 10 წელი                      |
| მანქანა-დანადგარები                  | 5 წელი                       |
| ავიჯი და სხვა ინვენტარი              | 5 წელი                       |
| კომპიუტერული და სამედიცინო აპარატურა | 5 წელი                       |
| სატრანსპორტო საშუალებები             | 5 წელი                       |
| სხვა ძირითადი საშუალებები            | 7 წელი                       |

**არამატერიალური აქტივები**

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შემენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ცხრილში შემდეგნაირად:

| ჯგუფი                   | სასარგებლო მომსახურების ვადა |
|-------------------------|------------------------------|
| ლიცენზიები              | 7 წელი                       |
| პროგრამული უზრუნველყოფა | 7 წელი                       |
| სხვა                    | 7 წელი                       |

**მარაგები.** კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო შესყიდვის ყველაწილი დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

**სესხები.** სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

**გადასახადები.** 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

**განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები.** კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

**კაპიტალი.** ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

**შემოსავლების აღიარება.** შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

**სხვა შემოსავალი.** სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

**ხარჯების აღიარება.** მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

**კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით.** კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

**4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები**

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

• **სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი.** ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება შემცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. გაუფასურების ჯგუფური შეფასების მიზნით დებიტორული დავალიანება დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. ასეთი მახასიათებლები შეესაბამება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებას ასეთი აქტივების ჯგუფებისთვის, თითოეულ კატეგორიას განსაზღვრული აქვს ამ კატეგორიისთვის სპეციფიურ გაუფასურების რეზერვი. მნიშვნელოვანი მოთხოვნები თავდაპირველად გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებისაგან და კომპანიის შეფასებები შეიძლება უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში, შედეგების ან მოლოდინების მიხედვით.

• **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

შპს „მედი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

- საგადასახადო კანონმდებლობა. მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდის. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. შემოსავალი რეალიზაციიდან

| შემოსავალი რეალიზაციიდან                         | 2,019      | 2,020     |
|--------------------------------------------------|------------|-----------|
| შემოსავალი რეალიზაციიდან ეპილაციის მომსახურებაზე | 4,980,558  | 3,897,710 |
| შემოსავალი კოსმეტოლოგიური მომსახურებიდან         | 4,910,674  | 3,034,004 |
| შემოსავალი სტომატოლოგიური მომსახურებიდან         | 2,919,077  | 2,062,099 |
| შემოსავალი ქირურგიული მომსახურებიდან             | 993,716    | 598,785   |
| შემოსავალი სარეაბილიტაციო მომსახურებიდან         | 248,138    | 107,745   |
| შემოსავალი გინეკოლოგიური მომსახურებიდან          | 43,943     | 15,206    |
| შემოსავალი სხვა მომსახურების გაწევიდან           | 564,056    | 8,983.04  |
| ჯამი                                             | 14,662,181 | 9,724,532 |

6. რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება

| რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება  | 2,019     | 2,020     |
|---------------------------------------|-----------|-----------|
| ძირითადი მასალების დანახარჯები/შემქნა | 2,960,175 | 2,169,298 |
| გაყიდული/შემქნილი საქონელი            | 6,899     | 26,014    |
| ჯამი                                  | 2,967,074 | 2,195,312 |

7. კომერციული ხარჯები

| კომერციული ხარჯები    | 2,019   | 2,020    |
|-----------------------|---------|----------|
| რეკლამის ხარჯი        | 323044  | 93106.8  |
| სხვა კომერციული ხარჯი | 87899   | 67276.22 |
| სულ კომერციული ხარჯი  | 410,943 | 160,383  |

შპს „მედი“


ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები      |           |           |
|----------------------------------------|-----------|-----------|
| აღწერა                                 | 2,019     | 2,020     |
| შრომის ანაზღაურება                     | 4,088,999 | 3,103,668 |
| ცვეთა და ამორტიზაცია                   | 949,750   | 961,805   |
| საიჯარო ქირა                           | 608,649   | 575,772   |
| მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯები       | 309,508   | 213,689   |
| კომუნალური ხარჯები                     | 234,493   | 196,407   |
| საბანკო მომსახურების ხარჯი             | 86,663    | 64,965    |
| კომპიუტერული და პროგრამული მომსახურება | 82,581    | 40,852    |
| კომუნიკაციის ხარჯი                     | 68,022    | 61,075    |
| საპენსიო ხარჯი                         | 67,623    | 44,863    |
| რემონტის ხარჯი                         | 55,609    | 41,592    |
| საკანცელარიო ხარჯი                     | 29,830    | 16,439    |
| მივლინების ხარჯი                       | 67,886    | 7,446     |
| ავტომობილის დაზღვევის ხარჯი            | 19,966    | 17,473    |
| წარმომადგენლობითი ხარჯი                | 6,073     | 351       |
| სხვა ხარჯი                             | 246,885   | 170,827   |
| სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები  | 6,922,536 | 5,517,224 |



შპს „მედი“

ფინანსური ანგარიშგების შეწიშვნები  
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის  
თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

## 9. ძირითადი საშუალებები

| ძირითადი საშუალებების მოძრაობა | მიწა      | შენიშნავენობა | ოფისის<br>აღჭურვილობა | მანქანა-დანადგარები | სხვა ძირითადი<br>საშუალებები | აგეჯი და სხვა<br>ინვესტირება | კოსმეტოლოგიური<br>და სამედიცინო<br>აპარატურა | სატრანსპორტო<br>საშუალებები | ჯამი        |
|--------------------------------|-----------|---------------|-----------------------|---------------------|------------------------------|------------------------------|----------------------------------------------|-----------------------------|-------------|
| <b>1 იანვარი 2018</b>          |           | 786,250       | 652,702               | 331,456             | 787,248                      | 480,905                      | 6,333,013                                    | 307,641                     | 9,679,215   |
| შესყიდვები                     |           | 1,225         | 5,549                 | 59,362              | 106,130                      | 112,570                      | 803,500                                      | 44,040                      | 1,132,376   |
| გაყიდვები                      |           | (223)         | (223)                 |                     |                              | (29,705)                     | (1,700)                                      | (43,030)                    | (74,658)    |
| <b>31 დეკემბერი 2018</b>       |           | 787,475       | 658,028               | 390,818             | 893,378                      | 563,770                      | 7,134,813                                    | 308,651                     | 10,736,933  |
| შესყიდვები                     |           |               | 101,665               | 7,793               | 90,122                       | 48,570                       | 479,989                                      |                             | 728,139     |
| გაყიდვები                      |           |               |                       |                     |                              |                              | (401)                                        |                             | (401)       |
| <b>31 დეკემბერი 2019</b>       |           | 787,475       | 809,593               | 398,611             | 983,500                      | 612,340                      | 7,614,401                                    | 308,651                     | 11,514,571  |
| შესყიდვები                     |           | 2,881         | 43,391                | 5,923               | 27,403                       | 27,096                       | 326,436                                      |                             | 433,130     |
| გაყიდვები                      |           |               | (1,407)               |                     |                              | (1,300)                      | (1,332)                                      | (27,999)                    | (32,038)    |
| <b>31 დეკემბერი 2020</b>       |           | 790,356       | 851,577               | 404,534             | 1,010,903                    | 638,136                      | 7,939,505                                    | 280,652                     | 11,915,663  |
| <b>ცვეთა</b>                   |           |               |                       |                     |                              |                              |                                              |                             |             |
| <b>1 იანვარი 2018</b>          |           | (374,264)     | (384,447)             | (277,144)           | (519,605)                    | (383,025)                    | (4,543,899)                                  | (277,465)                   | (6,759,849) |
| ცვეთა                          |           | (39,338)      | (97,984)              | (10,901)            | (80,516)                     | (42,609)                     | (677,090)                                    | (35,047)                    | (983,485)   |
| გასვლა                         |           |               | 223                   |                     |                              | 29,234                       | 1,615                                        | 43,030                      | 74,102      |
| <b>31 დეკემბერი 2018</b>       |           | (413,602)     | (482,208)             | (288,045)           | (600,121)                    | (396,400)                    | (5,219,374)                                  | (269,482)                   | (7,669,232) |
| ცვეთა                          |           | (39,374)      | (96,791)              | (12,356)            | (91,746)                     | (60,022)                     | (633,166)                                    | (8,808)                     | (942,263)   |
| გასვლა                         |           |               |                       |                     |                              |                              |                                              |                             |             |
| <b>31 დეკემბერი 2019</b>       |           | (452,976.00)  | (578,999.00)          | (300,401.00)        | (691,867.00)                 | (456,422.00)                 | (5,852,540.00)                               | (278,290.00)                | (8,611,495) |
| ცვეთა                          |           | (39,458)      | (92,246.24)           | -12614.26           | (92,669.32)                  | (58,910.81)                  | (648,835.28)                                 | (6,941.20)                  | (951,675)   |
| გასვლა                         |           |               | 1,407.00              |                     |                              | 1,300.00                     | 1,197.31                                     | 12,599.55                   | 16,504      |
| <b>31 დეკემბერი 2021</b>       |           | (492,433.78)  | (669,838.24)          | (313,015.26)        | (784,536.32)                 | (514,032.81)                 | (6,500,177.97)                               | (272,631.65)                | (9,546,666) |
| <b>საბალანსო ღირებულება</b>    |           |               |                       |                     |                              |                              |                                              |                             |             |
| <b>1 იანვარი 2018</b>          |           | 411,986       | 268,255               | 54,312              | 267,643                      | 97,880                       | 1,789,114                                    | 30,176                      | 2,919,366   |
| 31 დეკემბერი 2018              | 1,166,490 | 373,873       | 175,820               | 102,773             | 293,257                      | 167,370                      | 1,915,439                                    | 39,169                      | 4,234,191   |
| 31 დეკემბერი 2019              | 1,166,490 | 334,499       | 230,594               | 98,210              | 291,633                      | 155,918                      | 1,761,861                                    | 30,361                      | 4,069,566   |
| 31 დეკემბერი 2020              | 1,166,490 | 297,922.04    | 181,738.95            | 91,518.74           | 226,366.77                   | 124,103.57                   | 1,439,326.67                                 | 8,020.35                    | 3,535,487   |

შპს „მედი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

10. ფული და ფულის ექვივალენტები

| ფული და ფულის ექვივალენტები      | 2,019     | 2,020     |
|----------------------------------|-----------|-----------|
| ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში     | 102411.57 | 221466.42 |
| ფული საღარიბოში ეროვნულ ვალუტაში | 73404     | 22777.23  |
| ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში      | 0.77      | 0.56      |
| სულ ფული და ფულის ექვივალენტები  | 175,816   | 244,244   |

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები       | 2,019  | 2,020   |
|----------------------------------|--------|---------|
| სავაჭრო მოთხოვნები               | 41,997 | 34,234  |
| გადახდილი ავანსები               | 56,421 | 74,866  |
| სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები     | 401    | 55      |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები       | 98,819 | 109,155 |
| საექვო და უიმედო ვალების რეზერვი |        |         |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ნეტო  | 98,819 | 109,155 |

12. მარაგები

| მარაგები                                       | 2,019     | 2,020   |
|------------------------------------------------|-----------|---------|
| მარაგები კლინიკის სხვადასხვა მომსახურებისათვის | 999,420   | 631,688 |
| ნედლეული და მასალები                           | 3,413     | 2,219   |
| სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები             | 1,002,832 | 633,908 |

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები     | 2,019   | 2,020   |
|-----------------------------------|---------|---------|
| სავაჭრო ვალდებულებები             | 535,878 | 173,064 |
| მიღებული ავანსები                 | 105,101 | 78,069  |
| სხვა ვალდებულებები                | 10,672  | 130     |
| სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 651,652 | 251,263 |

